European Commission

ევროკავშირი, როგორც მსოფლიო ლიდერი

ევროპული მწვანე შეთანხმება

2019 წლის დეკემბერი
#EUGreenDeal

კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია უარყოფითად მოქმედებს თითოეულ ადამიანზე. ეს პრობლემა გლობალურ დონეზე უნდა გადაიჭრას

ევროკავშირი:

- ევროპული მწვანე შეთანხმების განხორციელებით მთელ მსოფლიოს **აძლევს მისაბაძ მაგალითს**
- კლიმატის ცვლილების პრობლემის მოსაგვარებლად მიმართავს **დიპლომატიური ურთიერთობების, ვაჭრობისა და თანამშრომლობის გაძლიერებას**
- ღირებულებათა გლობალურ ჯაჭვში ადგენს **მდგრადი ზრდის სტანდარტებს**

პარიზის შეთანხმება უმნიშვნელოვანესია კლიმატის ცვლილების პრობლემების მოსაგვარებლად

გლობალურ ემისიებში ევროკავშირის წილი მცირდება. გვსურს, რომ შესაბამის ზომებს ჩვენმა პარტნიორებმაც მიმართონ. ევროკომისია სავაჭრო ხელშეკრულებებში მდგრადი განვითარების ვალდებულებების შესრულებაზე კიდევ უფრო მეტ აქცენტს გააკეთებს.

ევროკავშირი:

- **იმუშავებს აფრიკასთან** კლიმატსა და გარემოსთან დაკავშირებული საკითხების ურთიერთობებში ერთ-ერთ მთავარ საკითხად დასაყენებლად

- **იმუშავებს დიდი ოცეულის ქვეყნებთან**, რომლებიც სათბურის აირების ემისიების მთლიანი მოცულობის 80%-ზე არიან პასუხისმგებელნი

- პოზნანის სამიტის შედეგად მოამზადებს **დასავლეთ ბალკანეთის** მწვანე დღის წესრიგს მწვანე შეთანხმების პრინციპების შესაბამისად

- **აღმოსავლეთ პარტნიორობისა** და **სამხრეთ სამეზობლოს ქვეყნებთან** დაამყარებს პარტნიორობებს გარემოს დაცვის, ენერგეტიკისა და კლიმატის სფეროებში

- შექმნის მწვანე ალიანსებს **ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის, აზიისა და წყნარი ოკეანეს** პარტნიორ სახელმწიფოებსა და რეგიონებთან

დაფინანსება:

- ევროკავშირის **„სამეზობლო, განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი“**-ს **25%**-ი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მიზნებზეა მიმართული

- მსოფლიო მასშტაბით კლიმატის სფეროში სახელმწიფო დაფინანსების **40%**-ზე მეტს ევროკავშირი უზრუნველყოფს

წყარო: ევროპის კომისიის შეტყობინება 2019 წელს გაეროს გენერალური მდივნის მიერ ნიუ-იორკში ორგანიზებული კლიმატის სამოქმედო სამიტის შესახებ, 11.9.2019

Print ISBN 978-92-76-13501-2 doi:10.2775/689693 NA-03-19-924-EN-C
PDF ISBN 978-92-76-13461-9 doi:10.2775/171146 NA-03-19-924-EN-N